

როგორ მოვემზადოთ
ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის

შ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

არჩევითი გამოცდა

გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე, იკრძალება საგამოცდო კრებულების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

ს ა რ ჩ ე კ ი

შესავალი	4
საგამოცდო პროგრამა	5
მისაღები გამოცდის მოთხოვნები	7
ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების სქემები	8
I. ქართული ლიტერატურა	8
ა) დავალებების ნიმუშები	8
ბ) შეფასების სქემა	11
II. წერითი დავალებები	14
ა) დავალებების ნიმუშები	14
ბ) წერითი დავალებების შეფასების კრიტერიუმები	18
აბიტურიენტების მიერ შესრულებული ნაშრომების ნიმუშები	23

შ ე ს ა გ ა ლ ი

კრებულის მიზანია, დაეხმაროს აბიტურიენტებს მოემზადონ არჩევითი გამოცდისათვის. მასში დაბეჭდილია საგამოცდო პროგრამა და ტესტურ დავალებათა ნიმუშები.

ტესტი იყოფა ორ ძირითად ნაწილად. პირველით მოწმდება საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებების ცოდნა და ამ თხზულებების ცალკეული მონაკვეთების ადეკვატური გაგებისა და გააზრების უნარი, კერძოდ, აბიტურიენტს მოეთხოვება ამა თუ იმ ნაწარმოების ფაბულისა თუ ცალკეული ეპიზოდების გახსენება, პერსონაჟის ხასიათის ანდა ქცევის მოტივაციის გააზრება და სხვ., აგრეთვე, ტექსტის მოყვანილი მონაკვეთის არსისა თუ ცალკეული სიტყვისა და ფრაზის მართებული გაგება. დავალებები შეიძლება იყოს ერთქულიანი, ორქულიანი, სამქულიანი და ა. შ. (ყოველი მათგანის რიგითი ნომრის მარცხენა მხარეს, ფრჩხილებში მითითებული ციფრი აღნიშნავს დავალების მაქსიმალურ ქულას, რომლის მიღებაც შეუძლია აბიტურიენტს ამ კონკრეტული დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში). ტესტის პირველი ნაწილის მაქსიმალური ქულაა 30.

საგამოცდო ტესტის მეორე ნაწილი ამოწმებს ტექსტის ადეკვატური გაგების, მსჯელობისა და არგუმენტირების, კრიტიკული აზროვნების უნარს, წერის კულტურას. ეს ნაწილი *ორი წერითი* დავალებისაგან შედგება. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 25. აბიტურიენტს ევალება ორივე წერითი დავალების შესრულება.

პირველი წერითი დავალებით მოწმდება *მხატვრული ტექსტების* (ან მათი ნაწყვეტების) შედარებითი ანალიზის უნარი კონკრეტული სამი მითითების მიხედვით. ამ დავალებაში მოცემული იქნება ორი ტექსტი, რომელთაგან ერთი არ არის შეტანილი საგამოცდო პროგრამაში, ხოლო მეორე შეიძლება იყოს როგორც უცნობი, ასევე საპროგრამოც.

მეორე წერითი დავალება *ესეს* დაწერას მოითხოვს. აბიტურიენტმა უნდა დაასაბუთოს ან უარყოს პირობაში მოცემული დებულება, მსჯელობისას უნდა გამოიყენოს შესწავლილი ლიტერატურული მასალა.

საგამოცდო ტესტის მაქსიმალური ქულაა 80.

საგამოცდო ტესტში არ განმეორდება ამ კრებულში მოცემული არცერთი დავალება.

გ ი ს უ რ გ ე ბ თ წ ა რ მ ა ტ ე ბ ა ს !

**საგამოცდლო პროგრამა „ლიტერატურაში“
(არჩევითი გამოცდა)**

<p>1. მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინები</p>	<p>დრამა, ეპოსი, ლირიკა; პოეზია, პროზა; ანდაზა, აფორიზმი, ბიოგრაფია, ელეგია, თქმულება, იგავ-არაკი, კომედია, ლეგენდა, ლექსი, მემუარი, მითი, მოთხრობა, მუსამბაზი, ნოველა, პოემა, პუბლიცისტიკა, რომანი, სონეტი, ტრაგედია, ტრიოლეტი, შაირი; აბზაცი, ეპიგრაფი, ეპილოგი, თემა, იდეა, კომპოზიცია, პროლოგი, რითმა, რიტმი, სიუჟეტი, სტროფი, ტაეპი, ფაბულა, ფინალი; დიალოგი, მონოლოგი, პერიფრაზი, ციტატა; ლირიკული გმირი, პეიზაჟი, პერსონაჟი, პორტრეტი; ალეგორია, ალიტერაცია, ალუზია, გაპიროვნება, გროტესკი, ეპითეტი, ირონია, იუმორი, მეტაფორა, მოტივი, სარკაზმი, სატირა, ტროპი, შედარება, ხატოვანი თქმა, ჰიპერბოლა; მხატვრული ენა, მხატვრული სახე.</p>
<p>2. ლიტერატურული პროცესის ძირითადი ეტაპები</p>	<p>სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი.</p>
<p>3. იაკობ ხუცესი</p>	<p>„შუშანიკის წამება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).</p>
<p>4. იოვანე საბანისძე</p>	<p>„აბო თბილელის წამება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).</p>
<p>5. გიორგი მერჩულე</p>	<p>„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).</p>
<p>6. შოთა რუსთველი</p>	<p>„ვეფხისტყაოსანი“ („ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა ნ. ნათაძისა); „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირამდე“, „დასასრული“.</p>
<p>7. სულხან-საბა ორბელიანი</p>	<p>„სიბრძნე-სიცრუისა“, იგავ-არაკები: „მეფე ხორასნისა“, „ძუნწი და ვაჭარი“, „უგუნური მცურავი“, „სამნი ბრმანი“, „მეფუნდუკე და დიდვაჭარი“.</p>
<p>8. დავით გურამიშვილი</p>	<p>„დავითიანი“: „სწავლა მოსწავლეთა“, „ქართველ უფალთა მეგვარტომობის იგავი“, „მოთქმა ხმითა თაგ-ბოლო ერთი“, „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება“, „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“, „დავით გურამისშვილის ლეკთაგან დატყობება“, „ოდეს დატყობულმან ურჯულს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარა ნახა, ამისი მოთქმა დავითისაგან“, „ტყვეობითგან გაპარვა დავითისა“, „შველა ღვთისაგან დავითისა. ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთში“, „დავით გურამის-შვილისაგან საწუთოს სოფლის სამღურავი“.</p>
<p>9. ალექსანდრე ჭავჭავაძე</p>	<p>ლექსი „გოგჩა“.</p>
<p>10. გრიგოლ ორბელიანი</p>	<p>ლექსები: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „საღამო გამოსაღმებისა“, „პასუხი შვილთა“.</p>
<p>11. ნიკოლოზ ბარათაშვილი</p>	<p>ლექსები: „არ უკიჟინო, სატრფოლო...“, „მერანი“, „ცისა ფერს“, „ფიქრნი მტკერის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ხმა იღუმალი“, „სულ ბოროტო“, „გპოვე ტაძარი“; პოემა „ბედი ქართლისა“.</p>
<p>12. ილია ჭავჭავაძე</p>	<p>ლექსები: „ბედნიერი ერი“, „პასუხის პასუხი“, „ჩემო კალამო“; პოემები: „განდევილი“, „აჩრდილი“ – VII თავი; მოთხრობები: „კაცია-ადამიანი?!“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“; სტატია „რა გითხრათ, რით გაგახართ?“</p>
<p>13. აკაკი წერეთელი</p>	<p>ლექსები: „ადმართ-ადმართ“, „განთიადი“, „სულიკო“, „ქებათა ქება (სხვებმა სვან ღვინო...)“; პოემები: „თორნიკე ერისთავი“, „გამზრდელი“.</p>

14. ალექსანდრე ყაზბეგი	მთხრობა „ხვეისბერი გოჩა“.
15. ვაჟა-ფშაველა	ლექსები: „ჩემი ვედრება“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „კაი ყმა“, „იას უთხარით ტურფასა“; პოემები: „აღუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“; მთხრობა „ამოდის, ნათდება“; პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.
16. დავით კლდიაშვილი	მთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.
17. ნიკო ლორთქიფანიძე	მთხრობა „შელოცვა რადიოთი“.
18. კონსტანტინე გამსახურდია	რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.
19. მიხეილ ჯავახიშვილი	რომანი „ჯაყოს ხიზნები“.
20. პოლიკარპე კაკაბაძე	პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ (I და IV მოქმედებები).
21. გალაკტიონ ტაბიძე	ლექსები: „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „თოვლი“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „სილაყვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შერიგება“, „მშობლიური ეფემერა“.
22. ტიციან ტაბიძე	ლექსები: „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“.
23. პაოლო იაშვილი	ლექსი „პოეზია“.
24. გიორგი ლეონიძე	ლექსები: „ნინოწმინდის ღამე“, „ყივხალის პაემანი“.
25. გურამ რჩეულიშვილი	მთხრობა „ალავერდობა“.
26. ანა კალანდაძე	ლექსი „მკვდართა მზე ვარ“.
27. ჯემალ ქარჩხაძე	მთხრობა „იგი“.
28. გურამ დოჩანაშვილი	მთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

მისაღები გამოცდების მოთხოვნები

აბიტურიენტმა უნდა იცოდეს:

- საგამოცდო პროგრამაში შეტანილ ნაწარმოებთა სიუჟეტები (მოვლენები, ფაქტები და მათი თანამიმდევრობა);
- ტექსტში მოცემული ინფორმაცია პერსონაჟების შესახებ (პორტრეტი, თავგადასავალი, ავტორისეული დახასიათება და სხვ.);
- ტექსტში აღწერილ მოვლენათა ისტორიული კონტექსტი, გეოგრაფიული სახელები;
- მწერალთა ბიოგრაფიების ძირითადი მომენტები.

აბიტურიენტს მოეთხოვება:

- ენის გამომსახველობით საშუალებათა (როგორც ლექსიკურის, ისე გრამატიკულის) ადეკვატური გამოყენება;
- ენობრივი კონსტრუქციების სწორად აგება და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა;
- სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შედგენა;
- მხატვრულ ტექსტთა ლექსიკის გაგება;
- ლიტერატურული მასალის საფუძველზე პრობლემის დასმა, გააზრება და ანალიზი;
- ნაწარმოების თემისა და იდეის, მოტივების, ცალკეული დიალოგების, მხატვრული სახეების, სიტუაციის, კოლიზიის არსისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის ადეკვატური გააზრება;
- არგუმენტების ლოგიკურად, დამაჯერებლად ჩამოყალიბება და შესაბამისი მაგალითებით გამყარება;
- ლიტერატურული ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) ანალიზი, კომენტარი;
- ლიტერატურულ ნაწარმოებთა შორის მსგავსებებისა და განსხვავებების მიგნება და შედარებითი ანალიზი;
- მწერლის ენის, სტილის ძირითადი თავისებურებებისა და გამომსახველობითი საშუალებების სწორად აღქმა და გააზრება;
- ლიტერატურული ტექსტისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენა.

ლიტერატურის საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- არგუმენტირების უნარი;
- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გამოყენების უნარი;
- კითხვაში (დავალებაში) მინიშნებული ინფორმაციის ტექსტში მოცემულ ინფორმაციასთან გაიგივების (იდენტიფიცირების) უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
- წერითი მეტყველების უნარი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

გთავაზობთ ტესტური დავალებების ნიმუშებს შესაბამისი შეფასების სქემებითა და კრიტერიუმებით:

I. ქართული ლიტერატურა

- (2) 1. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი იაკობ ხუცესისა და შუშანიკის პირველი დიალოგიდან:
- „ხოლო მე ვიჯჳმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსა იყო ნეტარი შუშანიკ. და ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე და ვარქუ ნეტარსა შუშანიკს: – ღუაწლსა დიდსა შესღვად ხარ, დედოფალო. ეკრძაღე სარწმუნობასა ქრისტეისსა, ნუუკუე მტერმან, ვითარცა სრსვილმან, საძოვარი პოოს შენ თანა“.
1. რა „ღუაწლის“ შესახებ ესაუბრება იაკობი დედოფალს?
 2. ამ მონაკვეთის მიხედვით, რამ (ვინ) შეიძლება შეუშალოს ხელი შუშანიკს სარწმუნოების დაცვაში? (ციტირება დაუშვებელია!).
- (2) 2. გაიხსენეთ იაკობ ხუცესის თხზულება „შუშანიკის წამება“.
1. როგორ მოიქცა შუშანიკი, როდესაც „ვინმე სპარსისაგან“ თანაგრძნობის სიტყვები მოისმინა? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც).
 2. რა არგუმენტი გამოიყენა „ვინმე სპარსმა“, როდესაც ვარსკენს ურჩია – დედოფალს მკაცრად ნუ მოეპყრობიო? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც).
- (6) 3. გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნის“ ის ეპიზოდი, რომელშიც ფატმანი ნესტანის ამბავს უყვება ავთანდილს.
1. რატომ არ უმხელდა თავდაპირველად ფატმანი ქმარს იმას, რომ სასახლეში ნესტანს მალავდა?
 2. რატომ გადაწყვიტა მან სასახლეში ნესტანის ყოფნის ამბავი უსენისათვის გაემხილა?
 3. რა პირობით გაუმხილა ფატმანმა უსენს ეს საიდუმლო?
 4. როდის გაახსენა მან ქმარს ეს პირობა?
 5. უსენის რომელი საქციელით დადასტურდა, რომ ფატმანი ქმარს თურმე სწორად აფასებდა?
 6. უსენის რა თვისება ჩანს პოემის ამ ეპიზოდში?
- (6) 4. გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდი, რომელშიც მოთხრობილია ნესტან-დარეჯანის გათხოვების ამბავი.
1. რატომ შეაჩერა სამეფო ოჯახმა არჩევანი ხვარაზმშას ძეზე?
 2. როგორ მოიქცა ტარიელი სამეფო კარზე გამართული თათბირის დროს?
 3. რაში დასდო ბრალი განრისხებულმა ნესტანმა ტარიელს?
 4. რით დაემუქრა ნესტანი ტარიელს?
 5. რით გაამართლა ტარიელმა თავისი საქციელი?
 6. რა დაავალა ნესტანმა ტარიელს?
- (2) 5. წიგნში „დავითიანი“ ვკითხულობთ:
- „ემაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო;
ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო;
ვით რემა ხნარცეს არ ჩავარდეს, ულაგმო და უსადაო“.
1. პირველი სტრიქონის მიხედვით, რა დანიშნულება აქვს სწავლა-განათლებას?
 2. ვინ არის ის, „ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად“?
- (2) 6. წიგნში „დავითიანი“ ვკითხულობთ:
- „მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!
წამხდენელთა და მბაძველთა კიდევ სხვაც რამ წაუხდების,
ძრახვავე სჯობს საძრახავთა, ძრახვას კაცი მოუფთხეების“.
1. ავტორის აზრით, რა შეიძლება მოჰყვეს სიმართლის თქმას თავად მოქმელისათვის? (ციტირება დაუშვებელია!).
 2. დაასახელეთ, კონკრეტულად რის გამო ამბობს ავტორი, რომ უმჯობესია, გასაკიცხი გაიკიცხოს (ციტირება დაუშვებელია!).

- (2) 7. გაიხსენეთ გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.
1. რატომ არ სურს გამოფხიზლება თამარის ფრესკის შემყურე პოეტს?
 2. რას უწოდებს ლირიკული გმირი „ცრუსა“ და „დაუნდობელს“?
- (2) 8. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „შემოდამება მთაწმინდაზე“.
1. რა ავიწყდება ცის „მჭვრეტელ“ ლირიკულ გმირს?
 2. სად „ეძიებს სადგურს“ ლირიკული გმირის „გულისთქმა“? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც).
- (2) 9. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „მგზავრის წერილები“.
1. რა იდეას განასახიერებს ამ მოთხრობაში თერგი? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც).
 2. ქართველების მიმართ რუსი ოფიცრის როგორი დამოკიდებულებაა გამოხატული ამ ნაწარმოებში?
- (2) 10. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ოთარანთ ქერივი“.
1. რატომ დაუდგა გიორგი მოჯამაგირედ არჩილს?
 2. რატომ ვერ ხვდებოდა კესო გიორგის უცნაური ქცევის მიზეზს?
- (2) 11. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი აკაკი წერეთლის ლექსიდან „განთიადი“:
- „ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო;
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო“.
1. რა იგულისხმება სიტყვაში „ობლობა“?
 2. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მეორე სტრიქონში?
- (2) 12. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“.
1. რა გარემოება ამძიმებს საფარ-ბეგის დანაშაულს?
 2. რატომ იკლავს თავს ჰაჯი-უსუბი?
- (4) 13. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „აღუდა ქეთელაური“.
1. აღუდამ თქვა – მტერს იმიტომ არ მოვკვეთე ხელი, რომ ღირსეული ვაჟკაცი იყო. რა მიუგეს მას ხევსურებმა?
 2. რა მოიმოქმედა მინდამ აღუდას სიმართლის დასამტკიცებლად?
 3. როდის მიიღო ხევისბერმა გადაწყვეტილება – თემიდან მოეკვეთა აღუდა?
 4. მოკლედ ჩამოაყალიბეთ ამ პოემის მთავარი სათქმელი.
- (2) 14. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი“.
1. რა მიზნით სურდათ ქისტებს საკუთარი მიცვალებულისათვის ზვიადაურის შეწირვა?
 2. რა უთხრა ჯოყოლამ ცოლს, როდესაც გაიგო, რომ მან ზვიადაური დაიტირა?
- (2) 15. გაიხსენეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.
1. რის შიში დაეუფლა პლატონ სამანიშვილს, როდესაც გაიგო, რომ ბეკინას ცოლის შერთვა სურდა?
 2. რა მიზნით გაჰყვა კირილე მიმინაშვილი პლატონს სადედინაცვლოს მოსაძებნად?
- (3) 16. გაიხსენეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.
1. დაახახელეთ ბეკინა სამანიშვილის დამახასიათებელი ძირითადი თვისება.
 2. დაახახელეთ არისტო ქვაშავიძის დამახასიათებელი ძირითადი თვისება.
 3. დაახახელეთ კირილე მიმინაშვილის დამახასიათებელი ძირითადი თვისება.
- (2) 17. გაიხსენეთ ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“.
1. რატომ გადაწყვიტა ელიმ გველებთან ცეკვა?
 2. რით დასრულდა ეს ცეკვა?

- (2) 18. გაიხსენეთ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“.
1. როგორ შეხვდა თეიმურაზ ხევისთავი რევოლუციას?
 2. რა მოუტანა რევოლუციამ თეიმურაზს?
- (2) 19. გაიხსენეთ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“.
1. ქართული საზოგადოების რომელ ნაწილს გამოხატავს სიმბოლურად თეიმურაზ ხევისთავის მხატვრული სახე?
 2. რატომ იყო ეს რომანი მიუღებელი ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის?
- (1) 20. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „მთაწმინდის მთვარე“ ვკითხულობთ:
- „მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით,
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით
მოსჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე...“.
- რა მხატვრული საშუალებაა: „შუქთა მკრთალი მძივით“?
- (2) 21. გაიხსენეთ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.
1. კონკრეტულად რა ხერხით მოიშორა გიორგი პირველმა მეამბოხე ჭიაბერ ერისთავი?
 2. რა რეაქცია მოჰყვა ამ ამბავს ფხოველებში?
- (3) 22. გაიხსენეთ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.
1. რა შინაარსის სურათი დახატა არსაკიძემ, რის გამოც კათალიკოსმა ვეღარ გაბედა მისი დაცვა მეფის რისხვისაგან?
 2. როგორ შეიტყო მეფემ არსაკიძის მიერ დახატული სურათის შესახებ?
 3. რა იყო დიდოსტატის დასჯის ნამდვილი მიზეზი?
- (2) 23. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ტიციან ტაბიძის ლექსიდან „ანანურთან“:
- „გარჩენილი ვარ ქვებზე კალმასი
და ახეული მაქვს ლაყუნები,
შემართულია ფეხზე ჩახმასი
და უსიკვდილოდ ვერ გადავურჩები“.
1. ავტორის რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული მოცემულ მონაკვეთში?
 2. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული პირველ სტრიქონში?
- (1) 24. გაიხსენეთ ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგი“.
- რატომ დასაჯეს მთავარი პერსონაჟი სიკვდილით?

შეფასების სქემა

1. იაკობი აფრთხილებს შუშანიკ დედოფალს, რომ იგი მოწამებრივი ღვაწლისათვის უნდა მოემზადოს. შუშანიკს სარწმუნოების დაცვაში შეიძლება ხელი შეუშალოს ეშმაკმა.

1. *მოწამებრივი ღვაწლის შესახებ* -----1
2. *ეშმაკმა* -----1

2. „ვინმე სპარსისაგან“ თანაგრძნობის სიტყვები რომ მოისმინა, შუშანიკმა მისგან თავი შორს დაიჭირა („მოიხდუნა თავი მისი მტკიცედ“). როდესაც ვარსკენს ურჩია – დედოფალს მკაცრად ნუ მოეპყრობო, „ვინმე სპარსმა“ არგუმენტად გამოიყენა – ქალის ბუნება სათუთიაო („დედათა ბუნება იწრო არს“).

1. *არ აჰყვას საუბარში (არ ენდო)* -----1
2. *ქალი ნაზია (მოსაფრთხილებელია...)* -----1

3. თავდაპირველად ფატმანი ქმარს სახლში ნესტანის ყოფნის ამბავს იმიტომ არ უმხელდა, რომ არ ენდობოდა მას, როგორც უპირო ადამიანს. ფატმანმა უსენს სასახლეში ნესტანის ყოფნის ამბავი იმიტომ გაუმხილა, რომ ეშინოდა, მაინც გაიგებს და დამსჯისო (მარტო ვერ მოაგვარებდა ამ საქმეს, ვერ გაარკვევდა ქალის ამბავს). ფატმანმა მხოლოდ იმ პირობით გაუმხილა უსენს სასახლეში ნესტანის ყოფნის ამბავი, რომ ის ამას არავის ეტყოდა. ფატმანმა ქმარს ეს პირობა მაშინ გაახსენა, როდესაც ის მეფესთან წასასვლელად ემზადებოდა. მეფესთან მისულმა უსენმა ფატმანისათვის მიცემული ფიცი გატეხა და ნესტანის ამბავი გაამჟღავნა. პოემის ამ ეპიზოდში ჩანს უსენის პირუმტკიცობა.

1. *შიშობდა, რომ გაამჟღავნებდა* -----1
2. *ქმრის რისხვის შეეშინდა* -----1
3. *არსად გაამხელდა* -----1
4. *მეფესთან რომ მიდიოდა* -----1
5. *პირობის დარღვევით* -----1
6. *ფიცის გამტეხია* -----1

4. სამეფო ოჯახმა არჩევანი ხვარაზმშას ძეზე იმიტომ შეაჩერა, რომ ხვარაზმშა ძღვევამოსილი ხელმწიფე იყო. სამეფო კარზე გამართული თათბირის დროს ტარიელმა წინააღმდეგობა არ გაუწია მეფე-დედოფალს გადაწყვეტილების მიღების დროს. განრისხებულმა ნესტანმა ტარიელს ბრალი დასდო ღალატში (სიმუხთლეში, სიცრუეში, უსინდისობაში...). ნესტანი ტარიელს დაემუქრა ინდოეთიდან გაძევებით. ტარიელმა თავისი საქციელი ასე გაამართლა – წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდაო (შენი გათხოვება წინასწარ იყო გადაწყვეტილი და მე ვერაფერს შეცვლიდიო). ნესტანმა ტარიელს დაავალა ხვარაზმშას ძის ისე მოკვლა, რომ მისი მეომრები არ დახოცილიყვნენ.

1. *ხვარაზმშას ძლიერი სახელმწიფო ჰქონდა* -----1
2. *ტარიელი დაეთანხმა მეფე-დედოფალს* -----1
3. *ფიცის გატეხაში; სიყვარულის წმინდა გრძნობის შეურაცხყოფაში* -----1
4. *სიკვდილით* -----1
5. *სამეფო ოჯახის გადაწყვეტილების შეცვლა უკვე შეუძლებელი იყო* -----1
6. *სასიძოს მიპარვით მოკვლა* -----1

5. სწავლა-განათლების საშუალებით ადამიანმა საკუთარი თავი უნდა შეიცნოს. ის, „ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად“, არის ღმერთი.

1. *ადამიანმა საკუთარი ადგილი უნდა იპოვოს* -----1
2. *უფალი; უზენაესი შემოქმედი* -----1

6. ავტორის აზრით, სიმაღლის თქმა თავად მოქმელს დააზარალებს. გასაკიცხი იმიტომ უნდა გაიკიცხოს, რომ ადამიანი კრიტიკას მოერიდება (სხვები გაფრთხილებიან და იმავეს აღარ ჩაიდენენ).

1. *სიმაღლის მოქმელი დაისჯება* -----1
2. *ადამიანები მეტ სიფრთხილეს გამოიჩენენ* -----1

7. თამარის ფრესკის შემყურე პოეტს იმიტომ არ სურს გამოფხიზლება, რომ არ დაუბრუნდეს უბადრუკ რეალობას (რომ არ იხილოს სულიერად დაცემული სამშობლო). ლირიკული გმირი „ცრუსა“ და „დაუნდობელს“ უწოდებს წუთისოფელს.
1. რომ არ იხილოს დაბუნებული საქართველო -----1
2. სააქაოს -----1
8. ცის „მჭვრეტელ“ ლირიკულ გმირს ავიწყდება ამქვეყნიური ცხოვრება (მიწიერი ყოფა, სააქაოს...), იმქვეყნიურ ცხოვრებაში; ღვთის საუფლოში; ლირიკული გმირის „გულისთქმა“ საიქიოში (სასუფეველში) „ეძიებს სადგურს“.
1. საწუთროება (მატერიალური ყოფა) -----1
2. „ზენაართ სამყოფში“ (წმინდანთა განსასვენებელში) -----1
9. თერგი განასახიერებს მოძრაობის, აქტიური ცხოვრების იდეას. რუსი ოფიცრის სახე გამოხატავს რუსეთის შოვინისტურ (ქედმაღლურ, ამპარტავნულ) დამოკიდებულებას დაპყრობილი ქვეყნების მიმართ.
1. აქტიურობის -----1
2. ცინიკური -----1
10. გიორგი არჩილს მოჯამაგირედ იმიტომ დაუდგა, რომ კესო შეუყვარდა. კესო ვერ ხვდებოდა გიორგის უცნაური ქცევის მიზეზს, რადგან ვერ წარმოედგინა, რომ გლეხი თავადის შეყვარებას გაბედავდა.
1. არჩილის და შეყვარდა -----1
2. ისინი სხვადასხვა სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდნენ -----1
11. სიტყვაში „ობლობა“ იგულისხმება სამშობლოდან შორს ყოფნა. მეორე სტრიქონში გამოყენებულია მეტაფორა.
1. უცხოებაში ყოფნა -----1
2. მეტაფორა -----1
12. საფარ-ბეგის დანაშაულს ის გარემოება ამძიმებს, რომ სტუმრად იმყოფებოდა ძიძიშვილთან, რომელმაც მისი სურვილის შესრულების გამო თავი საფრთხეში ჩაიგდო. გამზრდელი თავს იმიტომ იკლავს, რომ აღზრდილის ამორალური საქციელის გამო პასუხისმგებლობას გრძნობს.
1. მან ძიძიშვილობის ადათი დაარღვია -----1
2. თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას -----1
13. ალუდას ნათქვამს ხევსურებმა უპასუხეს, სიკვდილი გერჩინა სიცრუის თქმასო („გამოჰქცევიხარ ქისტიშვილს, გადუქცევიხარ ქალადა“). მინდიათ ალუდას სიმართლის დასამტკიცებლად მუცალის მკლავი მოიტანა. ხვეისბერმა ალუდას თემიდან მოკვეთის გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როდესაც ალუდამ თვითნებურად შესწირა შავი კურატი მოკლულ ქისტს. ამ პოემის მთავარი სათქმელია – თავისუფლად (პროგრესულად) მოაზროვნე პიროვნებაზე ჩამორჩენილი საზოგადოება ძალადობს.
1. გვატყუებო -----1
2. მოკლულ მუცალს მარჯვენა მოაჭრა -----1
3. როდესაც ალუდამ კურატი დაკლა -----1
4. თემისა და პიროვნების დაპირისპირებისას ღირსეული პიროვნება თემზე მაღლა დგას -----1
14. ქისტებს საკუთარი მიცვალებულისათვის ზვიადაურის შეწირვა იმიტომ სურდათ, რომ საიქიოში მისი მოსამსახურე ყოფილიყო. როდესაც გაიგო, რომ ადახამ ზვიადაური დაიტრია, ჯოყოლამ ცოლს უთხრა, მაღლი გიქნიაო (ქალს კარგი ვაჟკაცის გლოვა უხდებაო).
1. იმ ქვეყნად რომ მომსახურებოდა -----1
2. კარგად მოქცეულხარო -----1
15. როდესაც გაიგო, რომ ბეკინას ცოლის შერთვა სურდა, პლატონს კიდევ ერთი მემკვიდრის გაჩენის შიში დაეუფლა. კირილე მიმინაშვილი პლატონს სადედინაცვლოს მოსაძებნად გასართობად გაჰყვა.

1. მეგვიდრობაში შემცილებლის გაჩენის -----1
2. თავადასაველებისათვის -----1
16. ბეკინა სამანიშვილი ჯიუტი და ეგოისტია (ამპარტავანია). არისტო ქვაშავიძე გაიძვერა და გაქნილია (ეშმაკია). კირილე მიმინაშვილი უდარდელი და ფუქსავატია.
1. „გადაპრანჭულია“ -----1
2. ვირეშმაკაა -----1
3. დარდიმანდია (შფოთისთავია) -----1
17. ელიმ გველებთან ცეკვა იმიტომ გადაწყვიტა, რომ სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა მოეპოვებინა. ეს ცეკვა ელის სიკვდილით დასრულდა.
1. სამშობლოში დაბრუნება სურდა -----1
2. ელის დაღუპვით -----1
18. თეიმურაზ ხევისთავი რევოლუციას აღფრთოვანებით (იმედით) შეხვდა. რევოლუციამ თეიმურაზს იმედგაცრუება (ჩაგვრა, გაღარიბება, გაჭირვება...) მოუტანა.
1. აღტყინებით -----1
2. ღირსების შელახვა -----1
19. თეიმურაზ ხევისთავი დაუძღვრებულ და დეგრადირებულ ქართველ თავადაზნაურთა კრებითი სახეა. ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის ეს რომანი იმიტომ იყო მიუღებელი, რომ მასში აისახა ბოლშევიკური წყობისათვის დამახასიათებელი ძალადობა და უსამართლობა.
1. უნებისყოფო ინტელიგენციას -----1
2. რეალისტურად ასახავდა შექმნილ ვითარებას -----1
20. „შუქთა მკრთალი მძივით“ მეტაფორაა.
- მეტაფორა -----1
21. გიორგი პირველმა მეამბოხე ჭიაბერ ერისთავი მოწამლული ჯვრის საშუალებით მოაკვლევინა. ამ ამბის შეტყობისას წარმართებს თავზარი დაეცათ (წარმართები შიშმა შეიპყრო).
1. კათალიკოსის მოთხოვნით, ჭიაბერი მოწამლულ ჯვარს ემთხვია და გარდაიცვალა -----1
2. შეშინებული ხალხი ქრისტიანობისკენ მობრუნდა -----1
22. არსაკიძემ დახატა ღმერთთან მებრძოლი იაკობი. არსაკიძის სურათის შესახებ მეფეს ფარსმანმა უთხრა. სინამდვილეში მეფემ დიდოსტატი შორენას სიყვარულის გამო დასაჯა.
1. ღმერთთან მებრძოლი იაკობი -----1
2. ფარსმანმა უთხრა -----1
3. ეჭვიანობა -----1
23. მოცემულ მონაკვეთში გამოხატულია ტრაგიზმი (სასოწარკვეთილება). პირველ სტრიქონში გამოყენებულია მეტაფორა.
1. შეშფოთება (ავი წინათგრძნობა...) -----1
2. მეტაფორა -----1
24. მთავარი პერსონაჟი სიკვდილით იმიტომ დასაჯეს, რომ იგი ყველასაგან გამოირჩეოდა.
- სხვებისაგან განსხვავდებოდა -----1

II. წერიტი დავალებები

წერიტი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.

თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულნი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, **დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.**

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერიტი დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკე ცალკე გაცემული პასუხების შექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის. ეს ნაწერი არ სწორდება.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

წერიტი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

დავალება № 1

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი შოთა რუსთველის პოემიდან „ვეფხისტყაოსანი“:

ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა,
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა;
ესე მღერასა ბედითსა ჰგავს, ვაჟთა ყმაწვილობასა.
კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.
არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა, ჭირთა მალვა,
თავის-წინა იგონებდეს, ნიადამცა ჰქონდა ხალვა,
შორით ბნელა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,
დათმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.
ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამულავნებდეს,
არ ბედითად „ჰაის“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ღხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს.
მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჩივნოს?
ამის მეტი რამცა ირგო: მას ავნოს და თვითცა ივნოს!
რათამელა ასახელოს, რა სიტყვითა მოაყივნოს!
რა ჰგავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკივნოს.
მიკვირს, კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა:
ვინცა უყვარს, რად აყივნებს მისთვის მკვდარი მისთვის წყლულსა?!
თუ არ უყვარს, რად არა სძულს? რად აყივნებს, რაცა სძულსა?!
აგსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ფრანსუა ვიიონის პოემიდან „დიდი ანდერძი“:

LXV

იგი, ვის ყმადაც ვეფიცე მაშინ,
როცა სასწრაფოდ ვტოვებდი პარიზს,
ვის გამოც ზრუნმა იძალა ხმაში,
ვის გამოც თავში ბრუნავდა ქარი,
ვინც დახრა გული ეჭვის ზაფრებით
და საქალეთი ვინც შემაზარა,
თავს თუ იქცევდა, სხვა არაფერი,
ეთქვა დალოცვილს... (გეტყვის, რას არა!)

LXVI

ჩემთან, ჩემს გვერდზე – ჩემი შეტყობით –
არ ეცვლებოდა წამით გუნება,
ჩუმად ისმენდა, რასაც ვეტყოდი,
არც იწონებდა, არც იწუნებდა,
მეტიც, როდესაც ჩურჩულით ყურთან
დავეხრებოდი, არც ირხეოდა,
იმედის ჯაჭვზე მეყეფა, სურდა,
დაბმულს მეყეფა მისი თეოდან.

LXVII

მაგრამ მთავარი ჯადო რაც არი,
ერთი საგანი სხვად მომაღანდა,
საღამო – დილად, ფქვილად – ნაცარი,
ხუცესი – აღმად, ჯორი – აღამდრად,
საყდრის გუმბათად – ფიალის ფსკერი,
აბატი – პაჟად, ზუნად – ბადია...
ზის ანდაზაში და ფიქრობს შტერი:
„ხარის ბუშტია თუ სანათია?“

LXVIII

...წყალწყალა ლუდი – კამკამა ღვინოდ,
თვალის ამხელი – მტრად დაუნდობლად,
როცა უნდოდა, ალაპი – ლხინად,
ლხინი – ალაპად, როცა უნდოდა,
ცის კიბედ – თოკი, ჭერში მისკვნილი,
სამოთხის ჩიტად – ყვავის ბახალა,
ციხე-დარბაზად – ქარის წისკვილი,
ისე რა გოგო – მზეთუნახავად.

LXIX

ასე მიბამდა თვალს სიყვარული,
დაგმანულ კართან მიმაგლო ბრიყვი.
ის ვინც, – წაგიხდა ებნის ჟღარუნი,
მშრალზე დაგსვესო, – არ მორჩა ხვიხვინს,
ვნახოთ, ბატონო, თუ გაძლებს ჩემდენს,
როდესაც ტრფობა ჩემსავით დაწვავს,
გაშპება პირველ ლახვართა შემდეგ,
ხელთ შეატოვებს კურტაკს და საცვალს.

LXX

ვგმობ ტრფობას, გამსხვრევ მისეულ ყალიბს,
სისხლით და ცრემლით ვუმართავ ბრძოლას,
წავშალე ცოდვის ყოველი კვალი
და ნაისრალი აღარსად ბოლავს.
მივდივარ ხელ- და გულცარიელი,
აწ ქება მისი, ვაცხადებ, სხვამ თქვას,
მერხქვეშ ამოვდე ჩემი ვიელი,
აღარ ვეკუთვნი მიჯნურთა ამქარს.

(ფრანგულიდან თარგმნა დავით წერეთლიანმა)

გაანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა არის შოთა რუსთველის ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გამოხატული.
- იმსჯელეთ, რა არის ფრანსუა ვიონის ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გამოხატული.
- იმსჯელეთ, რა აქვს ამ ორ ტექსტს საერთო და რა განასხვავებს მათ.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

ყურადღებით წაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „თოვლი“:

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.
ძვირფასო! სული მევსება თოვლით:
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოველე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახევრდები.
ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:
იანვარს მოძმედ არ ვეძნელები,
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით მკრთალი ხელები.
ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,
უღონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.
იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს
შენი მანდილი ამ უდაბნოში...
ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის
ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ქროლის, მიმოვლის
და ზამბახების წყებად დაწვენა.
თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული სიზმრით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!
არის გზა, არის ნელი თამაში...
და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო!
მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში
ერთ დროს ფარული დარდი მიყვარდა!
მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ
მშვიდი დღეების თეთრი ბროლები,
მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ თმაში
და თმების ქარით გამოქროლება.
მომწყურდი ეხლა, ისე მომწყურდი,
ვით უბინაოს – ყოფნა ბინაში...
თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი
და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე.
თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული ფიფქით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ჯეიმზ ჯოისის მოთხრობიდან „მიცვალებულნი“:

ქალს გულის ძილით ეძინა.

იდაყვზე დაყრდნობილი გებრიელი ერთხანს დასცქეროდა მის აწეწილ თმასა და ნახევრად დაღებულ პირს, ყურს უგდებდა მის ღრმა სუნთქვას. უკვე გადაჰყოფდა გულიდან აღშფოთება და გაბოროტება. აი, თურმე როგორი რომანტიული ამბავი შემთხვევია ცხოვრებაში: კაცი მისი გულისთვის მომკვდარა. თითქმის აღარ სწყინდა იმაზე ფიქრი, თუ როგორი უბადრუკი როლი უთამაშია თვითონ, ქმარს, საკუთარი ცოლის ცხოვრებაში. ისე შეჰყურებდა მძინარეს, თითქოს ცოლ-ქმარი არც არასოდეს ყოფილიყვნენ. მისი ცნობისმოყვარე მზერა დიდხანს დაჟინებით ათვალიერებდა ქალის სახესა და თმას. იმაზე ფიქრობდა, როგორი უნდა ყოფილიყო იგი მაშინ, ქალწულებრივი მშვენიერების გაფურჩქვნის ჟამს, და უცნაური, მეგობრული სიბრაღული ეღვრებოდა სულში. თავის თავსაც არ უტყდებოდა, რომ ამ სახეს უკვე დაჰკარგოდა უწინდელი მშვენიერება, მაგრამ იცოდა, ეს ის სახე აღარ იყო, რომლისთვისაც მაიკლ ფარეი სიკვდილს არ შეუშინდა.

იქნებ ქალს ყველაფერი არც უამბნია. თვალი სკამს მოხვდა, რომელზედაც უწესრიგოდ იყო მიყრილი ტანისამოსი. ქვედა კაბის ზონარი იატაკზე ჩამოშვებულიყო. ცალი ფეხსაცმელი სწორად იდგა, რბილი ყელი გვერდზე გადაჰკეცოდა; მეორე ფეხსაცმელი იქვე ედღო...

ოთახში გრილოდა და მხრებზე შესცივდა. ფრთხილად ჩაიწია საბანქვეშ, ცოლს გვერდით მიუწვა.

დღეს ერთი, ხვალ სხვა, საბოლოოდ კი ყველანი ჩრდილად იქცევიან. უმჯობესია, ვაჟაკაყურად დასტოვო საწუთრო და ვნებით გულაღზნებული წახვიდე იმქვეყნად, ვიდრე წლიდან წლამდე დატკნე, საწყალობლად დაჩაჩანაკდე. თურმე რამდენ წელს უტარებია გულში ამ ქალს, ახლა რომ მის გვერდით იწვა, თვალები თავისი მკვდარი სატრფოსი, თვალები მაშინდელი, როცა ემაწვილი სიცოცხლეზე ამბობდა უარს.

დიდსულოვნების ცრემლები ჩაუდგა თვალებში. თვითონ არასოდეს განუცდია მსგავსი რამ, არც ერთ ქალს არ გაუღვიძებია მის გულში ასეთი გრძნობა. მაგრამ იცოდა, სწორედ ეს იყო სიყვარული. ცრემლებმა მზერა დაუბინდა და ამ ბინდში თვალწინ წარმოუდგა ხატება გაწუწული ხის ქვეშ ატუზული ბიჭისა. იქვე სხვა ჩრდილებიც ისახებოდნენ. სული მისი იმ ზღვარს მიეახლა, რომლის მიღმა საიქიოს ბინადარნი სუფევდნენ. გრძნობდა, თუმც ვერ ჩასწვდომოდა მათს რიალსა და ცვალებადობას.

მისი საკუთარი არსება, მისი მეობა მთლიანად გაქრა, განქარდა ამ რუხ, მოუხელთებელ სამყაროში. ხილული, ხელშესახები სამყარო, რომელსაც ეს მიცვალებულნი ოდესღაც თვითონ ქმნიდნენ და აშენებდნენ, სამყარო, სადაც ოდესღაც ცხოვრობდნენ, თანდათანობით მქრქალდებოდა, იცრიცებოდა, და ბოლოს სულ მთლად უჩინარდებოდა.

მსუბუქმა შრიალმა ფანჯრისკენ მიახედა. ისევ დაიწყო თოვა. თვლემამორეული გასცქეროდა ვერცხლისფერ და მუქ ფიფქებს, ცერად რომ მოფრინავდნენ ფარნის სინათლეში. მასაც უწია დაღმა სვლის ჟამმა. დიახ, გაზეთები მართალს წერდნენ: მთელ ირლანდიაში თოვდა. თოვდა ჩაბნელებულ ცენტრალურ ვაკეზე, ათოვდა უტყეო ბორცვებს, თოვლი ლბილად ეფინებოდა ალენის ჭაობებს, უფრო შორს, დასავლეთით, მსუბუქად ეშვებოდა შენონის ჩამუქებულ, მშფოთვარე ტალღებში. ათოვდა ეულ სასაფლაოს პატარა ბორცვზე, სადაც მაიკლ ფარეი განისვენებდა. თოვლი სქლად დასდებოდა წაფერდებულ ჯვრებსა და სამარის ქვებს, დაბალი ჭიშკრის ბოძებს, ეკლიან ბუჩქებს.

სმენას სწვდებოდა მსუბუქი ჩქამი და სული მისი ნელ-ნელა ინთქმებოდა თოვლის შრიალში... ათოვდა მთელ დედამიწას, როგორც მოახლოება აღსასრულის ჟამისა; წყნარად ათოვდათ ცოცხალთაც და მიცვალებულთაც.

(ინგლისურიდან თარგმნა ლია იმერლიშვილმა)

გაანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა არის გალაკტიონ ტაბიძის ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გამოხატული.
- იმსჯელეთ, რა არის ჯეიმზ ჯოისის ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გამოხატული.
- იმსჯელეთ, რა აქვს ამ ორ ტექსტს საერთო და რა განასხვავებს მათ.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 3

წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს:

„ბევრი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის და-
მალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დი-
დი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო... საბედ-
ნიეროდ არიან ჩვენში იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩვენზედ უკეთ იციან, რომ ვინც შენიშნავს
მართლად სხვის ნაკლულოვანებას, შეიძლება მასვე უნდოდეს გასწორება და სიკეთე მისი. რაც
უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრები-
სა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადი-
ლი გასწორებისა“.

არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ ან უარყავით ეს მოსაზრება:

- თქვენ მიერ შესწავლილი მხატვრული ლიტერატურიდან მოიყვანეთ ერთი ან რამდენიმე არ-
გუმენტი მოცემული მოსაზრების გასამყარებლად ან უარსაყოფად.
- იმსჯელეთ თქვენ მიერ დასახელებული ნაწარმოების მხატვრული ღირსებების შესახებ.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული პოზიცია (ახსენით, რატომ ეთანხმებით ან არ ეთანხმებით
ილია ჭავჭავაძის მოცემულ თვალსაზრისს).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 4

1883 წელს პუბლიცისტი ესტატე მჭედლიძე „კრიტიკულ მიმოხილვაში“ წერდა:

„ილია ჭავჭავაძის პოემა „განდევილიდან“ სჩანს, რომ ჩვენმა ერთმა უკეთესმა პოეტთაგანმა
თითქო მიაჩნება თავი ცხოვრებითის საკითხების გამოხატვას პოეზიაში, თითქო თვითონ ცხოვ-
რებასაც შესწერა და მის ავსა და კარგს გვერდი აუქცია!.. ბატონ ჭავჭავაძის პესიმისტურს შე-
ხედულებას „სააქაოზედ“ სამზღვარი არა აქვს... ამას მაინც ვერ დავარქმევთ ჩვენის მწერლობის
ფეხის წინ წადგმას. პირიქით, ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ჩვენმა ნიჭიერმა პოეტებმა რეა-
ლურს ცხოვრებას, როგორც ერთს რაიმე ჭირიანს, თვალი აარიდეს და განსვენება ეძიეს „გან-
დევილისთანა“ პოემებში...“

არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ ან უარყავით ეს მოსაზრება:

- იმსჯელეთ, რატომ ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოცემულ თვალსაზრისს (არგუმენტები
მოიხმეთ ილია ჭავჭავაძის „განდევილიდან“).
- იმსჯელეთ ამ პოემის მხატვრული ღირებულების შესახებ.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული პოზიცია პოემაში წამოჭრილი პრობლემის მიმართ (მსჯე-
ლობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა მხატვრული ნაწარმოები, ფილმი, სპექტაკლი, ცხოვ-
რებისეული გამოცდილება და ა. შ.).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

წერილი დავალებების შეფასების კრიტერიუმები

წერილი დავალების მაქსიმალური ქულაა **25**. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა
განსაზღვროს, **უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას.**

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია,
მითითებები მხოლოდ ერთ-ორი წინადადებით არის შესრულებული ან ტექსტი მთლიანობაში
არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს,
დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების
კრიტერიუმების მიხედვით.

I კრიტერიუმი

№	<i>დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება</i>	<i>ქულები</i>
1.	დავალების პირობა <i>ადეკვატურადაა</i> გაგებული, ტექსტი <i>ღრმადაა</i> გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	4
2.	დავალების პირობა და ტექსტი <i>ადეკვატურადაა</i> გაგებული.	3
3.	დავალების პირობა და ტექსტი <i>მთლიანობაში ადეკვატურადაა</i> გაგებული და გააზრებული, თუმცა <i>ერთ</i> შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არაადეკვატური გაგება.	2
4.	<i>ერთზე მეტ</i> შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი <i>არაადეკვატურადაა</i> გაგებული.	1
5.	ტექსტი <i>მთლიანობაში არაადეკვატურადაა</i> გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	<i>ნაშრომის აგება</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომი უპასუხებს <i>სამივე</i> მითითებას და <i>კარგადაა ორგანიზებული</i> , მონაკვეთები <i>თანამიმდევრულად და ლოგიკურად</i> ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები <i>სწორადაა</i> გამოყოფილი (დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ <i>ერთი-ორი</i> წინადადებით იქნება პასუხი გაცემული).	3
2.	ნაშრომი უპასუხებს <i>სამ</i> მითითებას, თუმცა <i>ნაწილობრივ დარღვეულია</i> ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები <i>არასწორადაა გამოყოფილი</i> ; ან ნაშრომი უპასუხებს <i>ორ</i> მითითებას და <i>კარგადაა ორგანიზებული</i> , მონაკვეთები <i>თანამიმდევრულად და ლოგიკურად</i> ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები <i>სწორადაა</i> გამოყოფილი.	2
3.	ნაშრომი უპასუხებს <i>ორ</i> მითითებას, თუმცა <i>ნაწილობრივ დარღვეულია</i> ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები <i>არასწორადაა</i> გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს <i>ერთ</i> მითითებას და <i>კარგადაა ორგანიზებული</i> , მონაკვეთები <i>თანამიმდევრულად და ლოგიკურად</i> ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები <i>სწორადაა</i> გამოყოფილი.	1
4.	ნაშრომი უპასუხებს <i>ერთ</i> მითითებას, თუმცა <i>ნაწილობრივ დარღვეულია</i> ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები <i>არასწორადაა</i> გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი

№	<i>მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება</i>	<i>ქულები</i>
1.	მსჯელობა <i>სამივე</i> მითითების მიხედვით <i>დასაბუთებულია</i> (არგუმენტირებულია) და არგუმენტები <i>გამყარებულია</i> ტექსტური მასალით.	6
2.	მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით <i>დასაბუთებულია</i> და არგუმენტები <i>გამყარებულია</i> ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები <i>არადაამაჯერებელია</i> და/ან <i>არ არის</i> გამყარებული ტექსტური მასალით.	5
3.	მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით <i>დასაბუთებულია</i> და არგუმენტები <i>გამყარებულია</i> ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ <i>არ არის</i> შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	4
4.	მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით <i>დასაბუთებულია</i> და არგუმენტები <i>გამყარებულია</i> ტექსტური მასალით, ხოლო <i>ორ</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები <i>არადაამაჯერებელია</i> და/ან <i>არ არის</i> გამყარებული ტექსტური მასალით.	3
5.	მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით <i>დასაბუთებულია</i> და არგუმენტები <i>გამყარებულია</i> ტექსტური მასალით, <i>მეორე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები <i>არადაამაჯერებელია</i> და/ან <i>არ არის</i> გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ <i>არ არის</i> შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	2
6.	<i>სამივე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები <i>არადაამაჯერებელია</i> და/ან <i>არ არის</i> გამყარებული ტექსტური მასალით.	1
7.	<i>ორი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები <i>არადაამაჯერებელია</i> და/ან <i>არ არის</i> გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ <i>არ არის</i> შესრულებული; ან მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით <i>დასაბუთებულია</i> და არგუმენტები <i>გამყარებულია</i> ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ <i>არ არის</i> შესრულებული; ანდა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები <i>არადაამაჯერებელია</i> და/ან <i>არ არის</i> გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ <i>არ არის</i> შესრულებული.	0

IV კრიტერიუმი

№	ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება	ქულები
1.	ნაშრომში გამოყოფილია ტექსტის არაერთი მხატვრული თავისებურება (მოცემულია მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ) და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.	2
2.	ნაშრომში გამოყოფილია ტექსტის არაერთი მხატვრული თავისებურება (მოცემულია მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ) და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით, თუმცა მოხმობილია ერთი არაადეკვატური მაგალითი; ანდა გამოყოფილია ტექსტის ერთი მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითით.	1
3.	ნაშრომში გამოყოფილია ტექსტის მხატვრული თავისებურებები (მოცემულია მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ), მაგრამ არ არის დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით ან მოხმობილია ერთზე მეტი არაადეკვატური მაგალითი; ანდა ნაშრომში არ არის გამოყოფილი ტექსტის მხატვრული თავისებურებები (არ არის მოცემული მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ).	0

V კრიტერიუმი

№	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ქულები
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ არ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე არ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	0

VI კრიტერიუმი

№	ფაქტობრივი შეცდომები	ქულები
1.	ნაშრომში არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	<i>ლექსიკა და სტილი</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) <i>ზუსტად და მკაფიოდ</i> აა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის <i>შესაფერისი სტილი</i> , აგრეთვე <i>დაცულია</i> ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება <i>ორიოდე</i> სტილისტური ხარვეზი.	2
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ <i>ლექსიკა მწირია</i> , გვხვდება <i>რამდენიმე</i> სტილისტური ხარვეზი.	1
3.	თხზულება სტილისტურად <i>გაუმართავია</i> .	0

VIII კრიტერიუმი

№	<i>სინტაქსური კონსტრუქციები</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომში დაშვებულია <i>ერთი</i> სინტაქსური შეცდომა.	2
2.	ნაშრომში დაშვებულია <i>ორი</i> სინტაქსური შეცდომა.	1
3.	ნაშრომში დაშვებულია <i>ორზე მეტი</i> სინტაქსური შეცდომა.	0

IX კრიტერიუმი

№	<i>მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია</i>	<i>ქულები</i>
1.	არ არის <i>ოთხზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	არ არის <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0

გთავაზობთ ორ საიტერესო ნიმუშს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტების მიერ შესრულებული ნაშრომებიდან (სტილი ყველგან დაცულია):

„მარტოობის ორდენის კავალერი“ თავის ლექსში კვლავ ეხება მიუწვდომელი სიყვარულის თემას. „მერიში“ გალაკტიონმა დაგვანახვა, თუ როგორ შეუძლია მას განიცადოს ტრფობა. ტაბიდის ნებისმიერი ლექსი, იქნება ეს „მე და ღამე“ თუ „მთაწმინდის ღამე“, ძალიან სევდიან გრძნობებს აღძრავს მკითხველში. „თოვლშიც“ არ დალატობს პოეტი საკუთარ თავს და ღირიკული გმირის განცდებს უღამაზესად გვიხატავს იისფერი თოვლის ფონზე. თოვლი მთელი ლექსის განმავლობაში სიმბოლურ სახეს ატარებს. ჩემი აზრით, ისაა მოგონებები, წარსული, რომელიც პოეტს ოდესღაც გამოცდილ გრძნობებს უღვიძებს. ჩვენ დაზუსტებით ვერ ვიტყვი, თუ რა მიზნით დაწერა „მეფემ და მგოსანმა“ თავისი ლექსი. ის ხომ ყველაზე ამოუცნობი რომანტიკოსი იყო. როგორც თვითონ თქვა: „რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული...“ მართლაც, საიდან უნდა ვიცოდეთ ზუსტად ღირიკოსის გრძნობები, ჩვენ მხოლოდ ვხვდებით, რომ გალაკტიონისთვის თოვლი არ იყო მხოლოდ მოვლენა. ღირიკული გმირი საყვედურებს ცხოვრებას:

„ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:
იანვარს მოძმედ არ ვეძინებები...“

მაგრამ, მიუხედავად სირთულეებისა, გალაკტიონი მაინც არ ვარდება სასოწარკვეთილებაში. ის რამდენჯერმე იმეორებს: „როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი...“ ამით ის გვანახავს, რომ, მართალია, ღირიკოსი მარტოა, მაგრამ მას მაინც სურს ცხოვრების გაგრძელება, არ უნდა სიკვდილი... პოეტი გვანახავს, რომ „სამყაროს სიყვარული ატრიალებს“. ის იყენებს შედარებას „ქალწულივით“, რათა თოვლი სუფთა და უცოდველ რაიმესთან გააიგივოს. თავისი სატრფოს ხელებს ის ასევე თოვლს ადარებს, მასავით მკრთალია მიჯნურის დაღლილი ხელები. ასევე იყენებს შედარებას: „ვით უბინაოს – ყოფნა ბინაში...“ ამით ის მკითხველს გვანახავს, თუ როგორ მოენატრა მას თავისი მიჯნური.

ირლანდიელი მწერალი დიდი ოსტატია ქვეტექსტების დახატვის. თავისი ნიჭი მან „ულისეში“ გამოავლინა. მართალია, მისი ეს ცნობილი რომანი ნაკლებადაა რომანტიკული, მაგრამ „მიცვალებულნი“ ანტიპოდია „ულისესი“. ჩვენ ვხედავთ ქმარს, რომელსაც „უბადრუკი როლი უთამაშია... საკუთარი ცოლის ცხოვრებაში“. ეს ერთი წინადადება გადმოგვცემს მთელი მოთხრობის მთავარ აზრს. დიახ, გებრიელი თავის ცოლთან არის, მაგრამ მისი ცოლი არ არის მასთან. ამ პარადოქსული ფრაზით შემოიძლია ვთქვა, რომ ფიზიკური სიახლოვე არ ნიშნავს სულიერ სიახლოვესაც. თეიმურაზი და მარგო ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ უცხონი იყვნენ ერთმანეთისთვის. ტოლსტოიმ თქვა: „სიყვარული ნიშნავს ცოცხლობდნე იმის სიცოცხლით, ვინც გიყვარს“. ჩვენ ვხედავთ, რომ ჯოისის მოთხრობის გმირები ერთმანეთით არ ცხოვრობენ. ქალს თავისი ყოფილი მეგობარი მაიკლი უდგას თვალწინ. ვხედავთ, რომ კაცს შურს თავისი ცოლის, რადგან თვითონ არასოდეს განუცდია სიყვარული. ჯოისი მკითხველს გვანახავს, თუ როგორი არ უნდა იყოს ურთიერთობა ცოლ-ქმარს შორის. არა შეგუება, არამედ სიყვარული უნდა იყოს ქვაკუთხედი ურთიერთობისა. თოვლი... „ათოვდა მთელ დედამიწას“. ეს არის სიმბოლო რაღაც ძლიერისა, ისეთი გრძნობისა, რომელიც ყველას ეუფლება... ჯეიმზი იყენებს ეპითეტს „ღრმა“, რაც კარგად გვანახავს, თუ როგორ სუნთქავდა ქალი. მეტაფორით „ჩრდილად იქცევიან“ იელანდიელი მწერალი სიცოცხლის წარმომავლობას გვიჩვენებს, ხოლო ზემოხსენებული თოვლი მას შედარებული აქვს აღსასრულის მოახლოების უამთან, რომელიც, რა თქმა უნდა, ყველას წამოეწევა ადრე თუ გვიან...

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ „თოვლი“, რომელიც, თითქოს, ლაიტმოტივად გასდევს ორივე ტექსტს. ორივე მწერალთან ის რაღაც ცივსა და მიუკარებელს აღნიშნავს, მაგრამ ლექსის ღირიკულ გმირს ის ახსენებს მიჯნურს, რომელიც არასოდეს ჰყოლია გებრიელს. გალაკტიონი შორსაა თავისი სატრფოსგან, მაგრამ მასთან მაინც განიცდის სიახლოვეს, ახსოვს მისი „თმების ქარივით გამოქროლება“. ხოლო გებრიელი ცოლთან ერთად წევს, მაგრამ ის მისთვის უკვე უცხოა. ჩემთვის გალაკტიონი არის ჯოისის მაიკლ ფარეი, რომელმაც სიყვარულისთვის თავი გაწირა. გალაკტიონის ლექსიც და ჯეიმზის მოთხრობაც გადმოგვცემს ტრაგიკულ ისტორიას სიყვარულის შესახებ, მაგრამ ფაბულა ოდნავ განსხვავებულია.

მე აბსოლუტურად არ ვეთანხმები ესტატე მჭედლიძის მოცემულ თვალსაზრისს. ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი შემოქმედებით, პროზითა თუ პოეზიით „ცხოვრების ძირში“ ჩადის და თანამედროვეობის ყველა მწვავე პრობლემატიკას ასახავს, მკითხველისთვის მოაქვს სარკე, რომელში ჩახედვამაც ადამიანს საკუთარი მანკიერებები უნდა დაანახოს. გამონაკლისი არც პოემა „განდევილია“. თუკი ილიას მართლაც „პესიმისტური შეხედულებები“ აქვს „სააქაოზედ“, მაშინ რატომაა ასეთი დამაჯერებელი არგუმენტები მწყემსი ქალისა, რომელიც წუთისოფლის სიტკბოებასა და სიამეზე საუბრობს? ჩემი აზრით, მოცემული პოემის მიზანი სულაც არაა განდევილობის უპირატესობის წარმოჩენა და რეალობისთვის თავის არიდება. ნაწარმოების ერთ-ერთ პასაჟში განდევილი აღტაცებით შესცქერის მზის ჩასვლას. ამგვარი გრძნობებითვე იმსჭვალება მწყემსი ქალიც. ორივენი მზეში უფლის ხატებას ხედავენ. „ხნის გზა ყველგან არის“, – წერს ილია ჭავჭავაძე პოემაში და სწორედ ამ ფრაზით წარმოაჩენს პოემის მთავარ იდეას: ადამიანმა უნდა აირჩიოს ის გზა, რომლის გავლაც ძალუძს, რათა ერთი ნაბიჯით მიუახლოვდეს სრულყოფილებას.

პოემა „განდევილი“ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად განხილული ნაწარმოებია. მასში ტროპული მეტყველების უამრავ საშუალებას ვხვდებით. აღსანიშნავია მეტაფორა განდევილის სიტყვებში, როდესაც იგი წუთისოფელს „სულის ბორკილს“ უწოდებს. თხრობა საოცრად დინამიური და ექსპრესიულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზეციური სხივი აღარ იჭერს განდევილის ლოცვანს და სასოწარკვეთილი ბერი უგზოუკვლოდ დაეხეტება. საყურადღებოა აგრეთვე შემდეგი ეპითეტი: „ტყვექმნილი თვალი“. მწყემსი ქალისა და განდევილის დიალოგებით გადმოიცემა მათი შეხედულებები წუთისოფელზე. თვალწარმტაცადაა აღწერილი ქალის მშვენიერება და განდევილის მცირე პორტრეტი („არ იყო ხნიერ, მაგრამ სიმშვიდე...“).

მოცემულ პოემაში წამოჭრილი პრობლემის განხილვისას მახსენდება ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. მან დიდბუნებოვნება გამოამუღაენა, როდესაც უცხოეთში დაკავული საქართველოს ეროვნული მუზეუმის განძი უკლებლივ დააბრუნა სამშობლოში, როდესაც თავისუფლად შეეძლო მისი მცირე ნაწილის გაყიდვა და თავის დახსნა სიდუხჭირისაგან. ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანად შერაცხეს მისი მთელი ღირსეული ცხოვრების გათვალისწინებით. ეს, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ არ არის აუცილებელი ადამიანმა წუთისოფელი უარყოს და მხოლოდ ასკეტური გზით იცხოვროს. „განდევილის“ მთავარი სათემელიც სწორედ ესაა. აგრეთვე მახსენდება ერის მარია რემარკის „ტრიუმფალური თაღი“, რომელშიც ვეცნობით ფანატიკურად მორწმუნე ექთანს. იგი გამუდმებით აკრიტიკებს მთავარ პერსონაჟს, რავიკს, მისი ურწმუნოების გამო. თავად ექთანი მრისხანე, უკმეხ ადამიანად წარმოჩნდება. ერთ-ერთ ეპიზოდში რავიკი ეუბნება მას, რომ მიუხედავად რწმენის არქონისა, მაინც ექთანზე უფრო შემწყნარებულია. ჩემი აზრით, ეს პასაჟი ათეიზმს კი არ ქადაგებს, არამედ გვაცნობს, რომ მთავარია არა „რა“, არამედ – „როგორ“.